საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №409

თბილისი „01" 04 2019 წ.

„კულტურის ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა" გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ლ" და „რ" ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის N347009 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს „კულტურის ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსი - „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა".
2. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის:

ა) საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) საკონკურსო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

დ) საკონკურსო განაცხადის დაზუსტების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

ე) კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის შესრულების ანგარიში დანართი N5-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი N1

კონკურსის „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა“ ფარგლებში

მუხლი 1. კონკურსის „ხელოვნებაში ექსპერიმენტული ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა“ მიზანი

კონკურსის **„ხელოვნებაში ექსპერიმენტული ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა“** (შემდგომში - კონკურსი) მიზანია:

ა) ხელოვნებაში ექსპერიმენტული პროექტების ხელშეწყობით თანამედროვე თეატრალურ/ პერფორმატიულ, კინო, მუსიკალურ და ვიზუალურ ხელოვნებაში შემოქმედებითი ძიებების გააქტიურება და სტიმულირება;

ბ) ინოვაციური და კრეატიული იდეების გამოვლენა, ხელოვნებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი გამომსახველობითი საშუალებების, ფორმების და ექსპერიმენტების ხელშეწყობა.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (შემდგომში - კონკურსანტი).

2. კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარმოდგენა:

ა) პროექტი შესაძლებელია იყოს მულტიდისციპლინარული, რომელიც კომპლექსურად მოიცავს ხელოვნების ყველა ან რამდენიმე მიმართულებას.

ბ) საკონკურსო პროექტი უნდა იყოს ინოვაციური და ექსპერიმენტული, უნდა მოიცავდეს თანამედროვე გამომსახველობით საშუალებებსა და/ან ტექნოლოგიებს, თანამედროვე მხატვრულ სამეტყველო ენას; უნდა იყოს აქტუალური, ეხმიანებოდეს და ესადაგებოდეს უახლეს სახელოვნებო ტენდენციებს და თანამედროვე ფორმებს, ან ქმნიდეს ახალს. პროექტის თემა, ფორმა, ჟანრი, შესრულების ტექნიკა თავისუფალია.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

4. კონკურსში წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს 2019 წლის 1 ივნისისა, ხოლო დასრულების თარიღი - არაუგვიანეს 2019 წლის 1 დეკემბრისა;

5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს, რომლის ფარგლებშიც გამარჯვებული კონკურსანტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების თანხის ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

6. კონკურსში უპირატესობა შესაძლოა მიენიჭოს კონკურსანტს:

ა) რომლის წარმოდგენილი პროექტიც, ითვალისწინებს საკითხისადმი ინოვაციურ მიდგომას.

ბ) რომლის წარმოდგენილი პროექტიც, ითვალისწინებს პარტნიორების ფინანსურ ან სხვა ტიპის თანამონაწილეობას;

გ) რომელსაც გააჩნია შესაბამისი მიმართულებით პროექტის/ების განხორციელების გამოცდილება.

7. კონკურსში უპირატესობა მიენიჭება პროექტის ინოვაციურობასა და კრეატიულობას.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე, თანდართული (დანართი N2) ფორმის შესაბამისად;

ბ) საკონკურსო განაცხადი დანართი N3-ის - შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ბ.ა) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას;

ბ.ბ) პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შემთხვევაში, თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ.

დ) თეატრალურ/პერფორმატიულ, კინო, მუსიკალურ და ვიზუალურ ხელოვნების მიმართულების საპროექტი განაცხადებს დანართის სახით უნდა ერთვოდეს:

დ.ა) პროექტის ავტორთა და მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია, პორტფოლიო;

დ.ბ) პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე სხვა დამატებითი მასალა, რომელსაც განსაზღვრავს თავად კონკურსანტი.

2. კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე;

3. კონკურსში გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება.

4. პროექტის განხორციელების შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია სამინისტროს წარმოუდგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ დანართი N5-ის შესაბამისად (ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით).

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

1. სამინისტროში რეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში -მინისტრი) მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია;

2. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, 100 ქულის ფარგლებში.

	შეფასების კრიტერიუმი
1.	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან
2.	პროექტის მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა)
3.	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში
4.	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება
5.	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა

3. კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას მიიღებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვავაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც 1-ელი და მე-2 კრიტერიუმების ქულობრივი შეფასებით

დააგროვებს უფრო მაღალ ქულათა ჯამს. 1-ელ და მე-2 კრიტერიუმებში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის მიერ მოწონებულად მიიჩნევა ის კონკურსანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი (შემდგომში პროექტი) დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამარჯვებული პროექტის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) პროექტის მოწონების შესახებ;

ბ) მოწონებული პროექტის სრულად ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ;

დ) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ.

ე) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით.

ვ)საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90 % -ის ოდენობით.

6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, გამარჯვებულ კონკურსანტს, მოსთხოვოს, მისთვის კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის დაზუსტების ან სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

7. საკონკურსო კომისიის მოთხოვნა, დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული განაცხადის (დანართი N4) წარმოდგენის თაობაზე, კომისიის მდივნის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის culture@mes.gov.ge საშუალებით ეცნობება კონკურსანტს;

8. კონკურსანტი ვალდებულია დაზუსტების მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

9. კონკურსანტის მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის, ან ხარვეზით, ან ვადის დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც წარედგინება მინისტრს;

11. კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწონებული პროექტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება.

12. თუ გამარჯვებული კონკურსანტი, სამინისტროს სისტემაში შემავალი საბიუჯეტო ორგანიზაციაა, მისი დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის N132 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის" პროგრამის (პროგრამული კოდი 32 10 02) ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების წესის შესაბამისად.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი:

1. ანგარიშსწორება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით წინასწარი ანგარიშსწორება საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, შესაძლებელია

მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით.

3. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით წინასწარი ანგარიშსწორება პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90 %-ის ოდენობით, შესაძლებელია, მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით.

4. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის პუნქტებს შორის თანხის გადატანა (ცვლილება) შესაძლებელია სამინისტროდან მიღებული დაფინანსების არაუმეტეს 10% ოდენობით (გარდა შრომის ანაზღაურების მუხლისა).

5. პროექტის დასრულების შემდგომ, კონკურსი გამარჯვებული პირი ვალდებულია სამინისტროში წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში დანართ N5-ის შესაბამისად, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

მუხლი 6. კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება 2019 წლის 1 აპრილიდან 25 აპრილის 15:00 სთ-მდე საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4, ან თბილისი უზნაძის ქ. N52.

2. განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე კონსულტაციები გაიმართება სამინისტროში 2 ეტაპად:

ა) 2019 წლის 5 აპრილს 14:00 სთ-ზე;

ბ) 2019 წლის 18 აპრილს 14:00 სთ-ზე;

მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4.

3. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე: www.mes.gov.ge **2019 წლის არაუგვიანეს 25 მაისისა.**

4. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაბრუნდება.

დანართი N2

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს ბატონ
მიხეილ ბატიაშვილს

კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში
გამოცხადებული კონკურსის

„ხელოვნებაში ექსპერიმენტული ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა“

(კონკურსის სახელწოდება)

განმცხადებელი: .....

*პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი .....

მისამართი; ტელ.ნომერი .....

განცხადება

ბატონო მიხეილ,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ **კონკურსში „ხელოვნებაში ექსპერიმენტული ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა“** მონაწილეობის მიზნით, წარმოგიდგენთ პროექტს “---------- *(პროექტის სახელწოდება)*“, თანდართული დოკუმენტაციით, გთხოვთ განიხილოთ პროექტის ---------- ლარით დაფინანსების/ თანადაფინანსების საკითხი.

გავეცანი საკონკურსო პირობებს და ვადასტურებ ჩემს მიერ საკონკურსო განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სიზუსტესა და უტყუარობას.

პატივისცემით,

(ხელმოწერა) _____ ___ / _____ / 2019 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

სამინისტრო

„კულტურის ხელშეწყობის პროგრამა“

საკონკურსო განაცხადი

„ხელოვნებაში ექსპერიმენტული ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა“

(კონკურსის სახელწოდება)

1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება „ ----------„
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა ლარში : ---------- პროექტის დაწყების თარიღი _ _ _ _ _ _ _ _ პროექტის დასრულების თარიღი _ _ _ _ _ _ _ _
თანადაფინანსების არსებობა ☐ არა ☐ დიახ

2. ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ:

ორგანიზაციის სახელწოდება	
ორგანიზაციის მისამართი	
ტელეფონის ნომერი:	

ვებ-გვერდი:	
ელ.ფოსტა:	
საიდენტიფიკაციო კოდი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	

ორგანიზაციის საქმიანობა:

საქმიანობის მიმართულებები	
ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა	
წევრების/დასაქმებული პირების რაოდენობა	
განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები	

პროექტის საკონტაქტო პირი - ორგანიზაციის წარმომადგენელი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	საკონტაქტო ტელეფონი	ელ.ფოსტა:

3. ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციის/ების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ერთ პარტნიორზე მეტის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, დაამატოთ ანალოგიური გრაფა

ორგანიზაციის სახელწოდება	
ორგანიზაციის მისამართი	
ტელეფონის ნომერი:	
ვებ-გვერდი:	
ელ.ფოსტა:	
საიდენტიფიკაციო კოდი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	

3.1. ინფორმაცია პარტნიორობის ფორმის შესახებ (მ.შ დაფინანსება, მომსახურება, მატერიალური ფასეულობის გადაცემა, იჯარა და სხვა).

ერთ პარტნიორზე მეტის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, დაამატოთ ანალოგიური გრაფა

4. პროექტის აღწერა

4.1. პროექტის აღწერა, კონცეფცია (არაუმეტეს 1000 სიტყვა)

4.2. პროექტის ბიუჯეტი

პროექტის სრული ბიუჯეტი	სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა	თვითდაფინანსების თანხა	თანადაფინასების თანხა

4.3 პროექტის განსახორციელებლად სამინისტროსგან წინასწარ მოთხოვნილი თანხა

- ✓ კონკურსანტი უფლებამოსილია, მიუთითოს წინასწარი ანგარიშსწორების მხოლოდ ერთი ფორმა
- ✓ საბანკო/სადაზღვევო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ;

საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე მოთხოვნილი თანხა (არაუმეტეს პროექტის ღირებულების 50 % -ისა)	საბანკო/სადაზღვევო გარანტიით მოთხოვნილი თანხა (არაუმეტეს პროექტის საერთო ღირებულების 90 % -ისა)

4.4. პრობლემის არსი

აღწერეთ პრობლემები, რომლის გადაჭრასაც ემსახურება თქვენი პროექტი და დაასაბუთეთ პროექტის საჭიროება.

4.5. პროექტის მიზანი

მიუთითეთ პროექტის კონკრეტული მიზანი

4.6. პროექტის მიზნობრივი აუდიტორია

მიუთითეთ, კონკრეტულად რა მიზნობრივ აუდიტორიაზეა გათვლილი პროექტი (სპეციალისტები, სფეროს წარმოამდგენლები, სტუდენტები, ფართო საზოგადოება და სხვ.).

4.7. პროექტის მოსალოდნელი შედეგები

აღწერეთ პროექტის მოსალოდნელი კონკრეტული შედეგები. დაასაბუთეთ, რა დადებით გავლენას იქონიებს პროექტი. განიხილეთ ყველა მოსალოდნელი შედეგი.

4.8. პროექტის შეფასების კრიტერიუმები და მდგრადობა

რაოდენობრივი ინდიკატორი *მიუთითეთ რა კრიტერიუმებით შეფასდება პროექტის მიზნის მიღწევა (მაგ: ღონისძიების შემთხვევაში დამსწრეთა რაოდენობა, გამოხმაურება მედიაში, პროექტში მონაწილეთა რაოდენობა და ა.შ.)*	
დამსწრეთა რაოდენობა	

თვისობრივი ინდიკატორი *აღნიშნულ პუნქტში უნდა დასახელდეს შედეგის შეფასების თვისობრივი მაჩვენებელი*	
პროექტის გრძელვადიანი შედეგები *(აღწერეთ რა სარგებელის მოტანა შეუძლია პროექტს გრძელვადიან პერსპექტივაში)*	

4.9. პროექტის ეტაპები

პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ეტაპების, მათ შორის ძირითადი ღონისძიების, დროში გაწერილი დეტალური აღწერა (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ გრაფა).

N	ეტაპის დასახელება	შემსრულებელი	ვადები	ადგილი (ქალაქი/სივრცე)
1.				
2.				
3.				
4.				
5.				

5. პროექტის ხარჯთაღრიცხვა:

**პროექტის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ლარებში (*ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ მომსახურების/საქონელის შესყიდვის სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის მიზნებს/ამოცანებს და უნდა იყოს შესაბამისობაში გათვალისწინებულ აქტივობებთან)

❖ **სამინისტრო არ ანაზღაურებს:**

- ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეულ ხარჯებს;
- ბიზნესკლასის ავიაბილეთის და მაღალი კლასის სასტუმროს ხარჯებს;

- პროექტის ფარგლებში ძირითადი აქტივების შეძენას;

პროექტის „---------- *სახელწოდება“*					**ხარჯთაღრიცხვა**
N	**დასახელება**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**ჯამი**	**სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა**
1	**შრომის ანაზღაურება** *(მაგ: პროექტის მენეჯერისა და დაქირავებული პერსონალის ხელფასები)*				
1.2	***მონაწილეთა ჰონორარები*** (მაგ, ხელოვანი, და ა.შ)				
2	**სატრანსპორტო ხარჯები** (*მაგ. მზავრობის და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი)*				
3	**ცხოვრების ხარჯი** (*მაგ. სასტუმრო)*				
4	**ოჯარა** (*მაგ. დარბაზის ქირა, განათება, გახმოვანება და ა.შ)*				

5	**საექსპოზიციო/ სადადგმო ხარჯი** (*მაგ. საექსპოზიციო ხარჯი, სასცენო რეკვიზიტი და ა.შ.*)				
6	**ბეჭდვის ხარჯი** (*მაგ. პუბლიკაცია, პოსტერი, ბანერი, აფიშა და ა.შ*)				
7	**სხვა მომსახურება**				
	ჯამი				
	აღნიშნული გრაფები პირობითია და შესაძლებელია შეიცვალოს მოთხოვნების შესაბამისად ❖ **თან უნდა დაერთოს:** **მოთხოვნილი თანხის ფარგლებში შესაძენი საქონლისა და მომსახურების შესაბამისი წინასწარი ინვოისები (ბაზრის კვლევები)**				

6. **კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხის დადასტურება**

დოკუმენტის დასახელება	**მითითება დანართის თაობაზე**		**თანდართული გვერდების რაოდენობა**
	✓ **დიახ**	✓ **არა**	
1. სავალდებულო დოკუმენტაცია			
1.1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან			
1.2. საბანკო რეკვიზიტები (ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი)			
1.3. მოთხოვნილი თანხის შესაბამისი ინვოისები (ბაზრის კვლევები)			
1.4. პროექტის ავტორთა და მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია			

CV, პორტფოლიო;			
2. სხვა დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)			
2.1. ხელშეკრულება ან წერილი (პარტნიორის/ თანადაფინანსების თაობაზე)			
2.2. სარეკომენდაციო წერილი			
2.3. შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას;			
2.4. და სხვა, პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე (მაგ: მოწვევა, მაკეტი, ვიზუალური მასალა)			
		სულ:	

7. განაცხადის ჩაბარების თარიღი:

განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ბ.ა.

_ _ _ _ 2019 წ.

განაცხადის მიიღება:

თბილისი, 0105, სანაპიროს ქ. 4

თბილისი, 0102, დიმიტრი უზნაძის N 52

დანართი N4

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

„ხელოვნებაში ექსპერიმენტული ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა“

საკონკურსო განაცხადის დაზუსტების ფორმა

(პროექტის სახელწოდება)

1. ძირითადი განაცხადის სამინისტროში რეგისტრაციის რეკვიზიტები:

2. ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება	
ორგანიზაციის მისამართი	
ტელეფონის ნომერი:	
ვებ-გვერდი:	
ელ.ფოსტა:	
საიდენტიფიკაციო კოდი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	

3. დასაზუსტებელი საკითხის მოკლე აღწერა :

3.1. პროექტის განხორციელების თარიღი (დაწყება-დასრულება)

3.2. პროექტის ბიუჯეტი

პროექტის სრული ბიუჯეტი	სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა	თვითდაფინანსების თანხა	თანადაფინასების თანხა

4. ხარჯთაღრიცხვა

პროექტის „---------- *სახელწოდება*“					**ხარჯთაღრიცხვა**
N	**დასახელება**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**ჯამი**	**სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა**
1	**შრომის ანაზღაურება** *(მაგ: პროექტის მენეჯერისა და დაქირავებული პერსონალის ხელფასები)*				
1.2	***მონაწილეთა ჰონორარები*** (მაგ. ტრენერი, ხელოვანი და ა.შ)				
2	**სატრანსპორტო ხარჯები** (*მაგ. მზავრობის და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი)*				
3	**ცხოვრების ხარჯი** (*მაგ. სასტუმრო)*				

4	**იჯარა** (*მაგ. დარბაზის ქირა, განათება, გახმოვანება და ა.შ*)				
5	**საექსპოზიციო/ სადადგმო ხარჯი** (*მაგ. საექსპოზიციო ხარჯი, სასცენო რეკვიზიტი და ა.შ.*)				
6	**ბეჭდვის ხარჯი** (*მაგ. პუბლიკაცია, პოსტერი, ბანერი, აფიშა და ა.შ*)				
7	**სხვა მომსახურება**				
	ჯამი				

*პროექტის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ლარებში.
აღნიშნული გრაფები პირობითია და შესაძლებელია
შეიცვალოს მოთხოვნების შესაბამისად

5. განაცხადის ჩაბარების თარიღი:

განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ბ.ა.

_ _ _ _ 2019 წ.

განაცხადის მიღება:
ბილისი, 0105, სანაპიროს ქ. 4
თბილისი, 0102, დიმიტრი უზნაძის N 52

დანართი N5

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

მინისტრს

ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

განმცხადებელი: .....

*პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი .....

მისამართი; ტელ.ნომერი .....

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
მიერ კონკურსის „ხელოვნებაში ექსპერიმენტული ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა“ ფარგლებში

დაფინანსებული პროექტის „----------„ *(სახელწოდება)*

შესრულების ანგარიში

ბატონო მიხეილ,

წარმოგიდგენთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ..... (*პროექტის განმახორციელებელი: იურიდიული პირი ---------- საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით) შორის გაფორმებული № . . . . . ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ანგარიშს.

პატივისცემით,

---------- 2019 წელი

დანართი N5

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

„კულტურის ხელშეწყობის პროგრამა“

პროექტის სახელწოდება

ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი/ თარიღი	№ . . . . .
მიმართულების სფერო / დარგი	
პროექტის განმახორციელებელი: იურიდიული პირი / საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით/	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
პროექტის მენეჯერი (საკონტაქტო ინფორმაცია)	
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული თანხის ოდენობა	
პროექტის საბოლოო ჯამური ბიუჯეტი	
თანამონაწილე/პარტნიორი ორგანიზაცია/ები	
პროექტის განხორციელების პერიოდი	
საქართველოს კულტურისა და სპორტის	

სამინისტროდან გამოყოფილი აუთვისებელი თანხის ოდენობა	
თანადაფინანსების ოდენობა	
თვითდაფინანსების ოდენობა	
პროექტის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი, ბიუჯეტში გადახდილი /გადასახდელი თანხების ჯამური ოდენობა	

2. პროექტის შემაჯამებელი მოკლე ანგარიში

2.1. პროექტის განხორციელების (მიმდინარეობის) მოკლე აღწერა

2.2 პროექტის შედეგი

3. მედია

3.1 პროექტის ფარგლებში პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები (ინტერნეტ ბმულების მითითებით)

№	თარიღი	ჟურნალის/ინტერნეტ პორტალის, ტელევიზიის სახელწოდება
1.		
2.		
3.		

4.		
5.		
6.		

4. პროექტის ფარგლებში მომზადებული პროდუქტი

4.1 მაგ. არსებობის შემთხვევაში: ვებგვერდი, კომპაქტდისკი, ბეჭდვითი პროდუქცია, პარტიტურები, და სხვ.

№	ამსახველი მასალა	შემსრულებელი
1		
2		
3		

5. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

5.1 კონფერენციები/ სემინარები/ სამუშაო შეხვედრები /რეპეტიციები/ კონცერტები/ სპექტაკლები/ გამოფენები და სხვ.

№	თარიღი	დასახელება	შემსრულებელი	ჩატარების ადგილი
1				
2				
3				

6. პროექტზე დასწრების ფორმატი

6.1 პროექტზე დასწრების ფორმატი

მოსაწვევების რაოდენობა	
ბილეთების რაოდენობა	

6.2 დამსწრეთა რაოდენობა

დამსწრეთა საერთო რაოდენობა (თუ აქტივობაზე დასწრება თავისუფალია და არ ხდება მაყურებელთა მოწვევა, მოსაწვევის ან ბილეთის მეშვეობით, ჩაწერეთ დაახლოებითი რიცხვი, იხელმძღვანელეთ აუდიტორიასა და ღია სივრცეში ადგილების რაოდენობით ან მასშტაბით).	
დამსწრე ეთნიკურ უმცირესობათა საერთო რაოდენობა (თუ აუდიტორია არ იყო გათვლილი მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობებზე ჩაწერეთ დაახლოებითი რაოდენობა სხვა შემთხვევაში იხელმძღვანელეთ წინა პუნქტის რეკომენდაციით).	

7. პროექტში მონაწილე ადამიანთა რაოდენობა

7.1 არტისტები / მონაწილეები

მონაწილე პირთა საერთო რაოდენობა	
მონაწილე ქალთა/გოგონათა საერთო რაოდენობა	
მონაწილე მამაკაცთა/ვაჟთა საერთო რაოდენობა	
მონაწილე ეთნიკურ უმცირესობათა საერთო რაოდენობა	
პროექტში მონაწილე კოლექტივების/ანსამბლების/ჯგუფების/დასების და სხვა საერთო რაოდენობა	

პროექტში მონაწილე კოლექტივების/ანსამბლების/ჯგუფების/დასების და სხვა, წევრთა საერთო რაოდენობა	

7.2 მენეჯმენტი/ საორგანიზაციო ჯგუფი

დასაქმებულ პირთა საერთო რაოდენობა	
მენეჯმენტსა და ადმინისტრირების საკითხებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა	
პროფესიული პერსონალის რაოდენობა	
დამხმარე პერსონალის რაოდენობა	
დასაქმებულ ეთნიკურ უმცირესობათა საერთო რაოდენობა	
დასაქმებულ ახალგაზრდა პირთა რაოდენობა (14-29 წლამდე)	
გენდერული ბალანსი წამყვან თანამდებობაზე (დირექტორი ქალი/მამაკაცი)	
მომუშავე ქალთა საერთო რაოდენობა	
მომუშავე მამაკაცთა საერთო რაოდენობა	
დასაქმებული დევნილის სტატუსის მქონე ქალთა/გოგონათა რაოდენობა	
დასაქმებული დევნილის სტატუსის მქონე მამაკაცთა/ვაჟთა რაოდენობა	

შენიშვნა:

* „პროექტის განმახორციელებელი" ვალდებულია აღნიშნულ ანგარიშს დაურთოს ფინანსური ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე პროექტის განხორციელების ვიზუალური მასალა.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი ორგანიზაციები, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ პროექტის განხორციელების ამსახველი ვიზუალურ მასალა.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

ანგარიშის შევსების თარიღი ----------

განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ბ.ა.

_ _ _ _ 2019 წ.